940/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. აპრილის 22 № 5 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

21. საქართველოს სსრ-ში 1940 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

22. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

21. საქართველოს სსრ-ში 1940 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 4 მარტის № 306 „1940 წლის მოსავლის ტექნიკური და სპეციალური კულტურების კონტრაქტაციის გეგმის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ-ში 1940 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა 15554 ტონის რაოდენობით, ამასთან ეს გეგმა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მეთამბაქოობის ცალკეულ რაიონებს შორის განაწილდეს, თანახმად დანართისა № 1.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ-ში 1940 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა ასორტიმენტის მიხედვით:

I	ხარისხის	0.45 %	70.0	ტონა
II	„	3.25 %	505.4	„
III	„	19.05 %	2962.8	„
IV	„	67.75 %	10538.0	„
V	„	9. 5 %	1477.8	„

და ეს გეგმა განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 2.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს დააწესონ თამბაქოს კონტრაქტაციის გეგმები მეთამბაქოობის ცალკეული რაიონების მიხედვით, ხოლო მეთამბაქოობის რაიონების ყველა რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოახდინოს ჩაბარების საშუალო-რაიონული ნორმების და დაკონტრაქტებული თამბაქოს ასორტიმენტის დიფერენციაცია ცალკეულ კოლმეურნეობათა მიხედვით და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიმართ ცალკეული სასოფლო საბჭოების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ თამბაქოს ჩაბარების ნორმები ერთ ჰექტარზე ერთპიროვნულ მეურნეობებში იყოს 10 % მეტი, ვიდრე კოლმეურნეობათა ჩაბარების ნორმები.

4. დაწესდეს ფულადი საკონტრაქტაციო ავანსის ოდენობა ერთ ტონა დაკონტრაქტებულ თამბაქოზე: აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკისათვის—1700 მან., ხოლო საქართველოს სსრ დანარჩენი რაიონებისათვის — 980 მან. „ტრაპეზუნდის“ თესლის თამბაქოსა და 1356 მან. — „სამსუნის“ თესლის თამბაქოსათვის.

დაწესდეს, რომ ფულადი ავანსის ნორმები ერთ ტონა დაკონტრაქტებულ თამბაქოზე კოლმეურნეობებში უნდა იყოს 30 % მეტი, ვიდრე ერთპიროვნულ მეურნეობათა ნორმები.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს დააწესოს ფულადი ავანსების რაოდენობა ბოტანიკური ჯიშებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს საქართველოს სსრ-ში თამბაქოს ნედლეულის კონტრაქტანტთა ფულადი ავანსირების საერთო გეგმა 20980,4 ათასი მანეთის რაოდენობით და ეს გეგმა განაწილდეს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ცალკეულ რაიონებს შორის, თანახმად დანართისა № 3.

დაწესდეს საქართველოს სსრ მეთამბაქოობის ყველა რაიონისათვის ფულადი ავანსების მიცემის შემდეგი ვადები: 1940 წლის აპრილში ავანსის საერთო თანხის 20 % — ხელშეკრულების ხელმოწერის დროს: 1940 წლის მაისში — ავანსის საერთო თანხის 40 % დასარგავად; 1940 წლის ივლისს-აგვისტოში ავანსის საერთო თანხის 40 % თამბაქოს ასაღებად და დასამუშავებლად.

5. დაევალოს საქთამბაქნედლეულს აწარმოოს ავანსების გაცემა კონტრაქტანტთა მიერ თამბაქოს დარგვის, დამუშავებისა და აღების სამუშაოების შესრულების შემოწმების შედეგების მტკიცედ შესაბამისად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დარგული ფართობების გაზომვისა და ძირების დათვლის გულმოდგინედ ჩატარებას.

6. შენარჩუნებულ იქნას 1940 წლისათვის 1939 წელს მომქმედი ხარისხობრივი დასამზადებელი ფასები, ჯილდო-წანამატების მიცემის წესი, საკონტრაქტაციო ფულადი ავანსების დაფარვის პირობები და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა ტექსტი.

7. წინადადება მიეცეს საქთამბაქნედლეულს გაითვალისწინოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში თამბაქოს ჩაბარების შემდეგი თვიური ვადები:

(წლიური გეგმის %%-ით)

	1940 წ. ოქტომბერში	1940 წ. ნოემბერში	1940 წ. დეკემბერში	1941 წ. იანვარში	1941 წ. თებერვალში	1941 წ. 15 მარტამდე
საქ. სსრ რაიონებისათვის აფხაზეთის ასსრ გამოკლებით	15	20	25	20	20	—
აფხაზეთის ასსრ რაიონებისათვის	10	15	25	25	20	5

8. დაევალოს საქთამბაქნედლეულს დაამთავროს თამბაქოს კონტრაქტაცია 1940 წლის 10 აპრილისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. მარტის 25. № 468.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1.

გ ე გ მ ა

1940 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადებისა საქართველოს სსრ-ში.

ავტონომიური რესპუბლიკების და რაიონების დასახელება	დასარგავი ფართობი (ჰექტარობით)	ჩაბარების ნორმა ერთ ჰექტარზე (ცენტნერებში)	კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა (ტონობით)
1. აფხაზეთის ასსრ	11430,0	6,8	7773,0
2. აჭარის ასსრ	885,0	6,5	573,0
3. ლაგოდეხის რაიონი	3300,0	9,7	3201,0
4. სიღნაღის რაიონი	1189,0	7,5	891,0
5. წითელწყაროს რაიონი	206,0	7,5	154,0
6. ყვარლის რაიონი	470,0	8,2	385,0
7. გურჯაანის რაიონი	120,0	7,0	84,0
8. ბორჩალოს რაიონი	2400,0	8,1	1944,0
9. ლუქსემბურგის რაიონი	550,0	7,7	424,0
10. ზუგდიდის რაიონი	100,0	5,0	50,0
11. ჩოხატაურის რაიონი	150,0	5,0	75,0
ს უ ლ საქ. სსრ-ში . . .	20800,0	7,48	15554,0

დანართი № 2.

ბ ე ბ ო ბ ა

1940 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადებისა საქართველოს სსრ-ში ჯიშების მიხედვით.

ავტონომიური რესპუბლიკების და რაიონების დასახელება	I ხარისხის		II ხარისხის		III ხარისხის		IV ხარისხის		V ხარისხის		სულ
	ტონა	%%	ტონა	%%	ტონა	%%	ტონა	%%	ტონა	%%	ტონა
აფხაზეთის ასსრ	38,9	0,5	310,9	4,0	1717,8	22,1	5161,3	66,4	554,1	7,0	7773,0
აჭარის ასსრ	1,7	0,3	15,5	2,7	85,9	15,0	412,6	72,0	57,3	10,0	573,0
ლაგოდეხის რაიონი	22,4	0,7	121,6	3,8	641,0	20,0	2118,3	66,2	297,7	9,3	3201,0
სიღნაღის რაიონი	1,5	0,2	13,4	1,5	128,5	14,4	649,6	72,9	98,0	11,0	891,0
წითელწყაროს რაიონი	0,3	0,2	2,3	1,5	23,1	15,0	108,3	70,3	20,0	13,0	154,0
ყვარლის რაიონი	0,8	0,2	6,1	1,6	41,1	10,7	290,8	75,5	46,2	12,0	385,0
გურჯაანის რაიონი	0,1	0,1	0,8	1,0	6,7	8,0	65,5	77,9	10,9	13,0	84,0
ბორჩალოს რაიონი	3,7	0,2	29,2	1,5	260,7	13,4	1328,0	68,3	322,4	16,6	9944,0
ლუქსემბურგის რაიონი . . .	0,4	0,1	3,1	0,7	41,8	9,9	308,7	72,8	70,0	16,5	424,0
ზუგდიდის რაიონი	0,1	0,3	1,0	2,0	6,5	13,0	37,9	75,7	4,5	9,0	50,0
ჩოხატაურის რაიონი	0,1	0,2	1,5	2,0	9,7	13,0	57,0	75,8	6,7	9,0	75,0
სულ საქ. სსრ-ში . . .	70,0	0,45	505,4	3,25	2962,8	19,05	10538,0	67,75	1477,8	9,5	15554,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 3.

გ ე გ მ ა

1940 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტანტთა ფულადი ავანსირებისა საქართველოს სსრ-ში

ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	თამბაქოს კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა (ტონ.)	ავანსის ოდენობა ერთ ტონა თამბაქოზე		ავანსის საერთო თანხა (ათ. მან.)
		ტრაპეზუნდის მან.	სამსუნის მან.	
1. აფხაზეთის ასსრ	7773,0	—	—	13214,1
2. აჭარის ასსრ	573,0	980	1356	655,5
3. ლაგოდეხის რაიონი	3201,0	„	—	3137,0
4. სიღნაღის რაიონი	891,0	„	—	873,2
5. წითელწყაროს რაიონი	154,0	„	—	150,9
6. ყვარლის რაიონი	385,0	„	—	377,3
7. გურჯაანის რაიონი	84,0	„	—	82,3
8. ბორჩალოს რაიონი	1944,0	„	—	1905,1
9. ლუქსემბურგის რაიონი	424,0	„	—	415,5
10. ზუგდიდის რაიონი	50,0	—	1356	67,8
11. ჩოხატაურის რაიონი	75,0	—	1356	101,7
ს უ ლ საქ. სსრ-ში . . .	15554,0	—	—	20980,4

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ შეტანილი ცვლილებებით.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 5 იანვრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 2, მუხ. 7).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. მარტის 26. № 505.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

I. საერთო დებულებანი

1. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძარითადი კანონის) 55 და 57 მუხლების შესაბამისად, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატს და ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მსუბუქ მრეწველობას.

2. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას სახალხო კომისარი, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე.

3. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 52 მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და მისდამი დაქვემდებარებული მეურნეობის დარგების მთელს საქმიანობას.

4. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 53 მუხლის შესაბამისად, თავისი კომპენტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სს რესპუბლიკის მომქმედი კანონების, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და მათს შესასრულებლად და ამოწმებს მათს შესრულებას.

5. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ისე სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატსაც.

II. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანი

6. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი:

ა) უშუალოდ ხელმძღვანელობს და განაგებს რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციას;

ბ) გეგმავს, აწესრიგებს და ტექნიკურ დახმარებას უწევს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას;

გ) ხელმძღვანელობს რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო და საფინანსო გეგმების (კვარტალური, წლიური და პერსპექტიული) შედგენას; ადგენს რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის ნაკრებ გეგმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მთავრობას; ხელმძღვანელობს რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის იმ გეგმების შესრულებას, რომლებიც დამტკიცებულია მთავრობის მიერ;

დ) ხელმძღვანელობს მსუბუქი მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის იმ გეგმების შედგენასა და განხორციელებას, რომლებსაც საქართველოს სსრ მთავრობა ამტკიცებს; დადგენილი წესით ამტკიცებს მშენებლობის საპროექტო დავალებებს; ტექნიკურ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

ე) აწყობს დაქვემდებარებულ საწარმოების, ორგანიზაციებისა და მშენებლობების ტექნიკურ და მატერიალურ მომარაგებას;

ვ) ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთა პროდუქციის გასაღებას და პროდუქციის განაწილების იმ გეგმების შესრულებას, რომლებსაც საქართველოს სსრ მთავრობა ამტკიცებს;

ზ) ტექნიკურ დახმარებასა და კონსულტაციას უწევს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს უმნიშვნელოვანეს ტექნიკურ საკითხებზე; ნერგავს ახალ ტექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკას, ტექნიკურ გაუმჯობესებებსა და გამოგონებებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებში;

თ) ნიშნავს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი სამმართველოების, საწარმოებისა და განყოფილებების სამეურნეო და ტექნიკურ ხელმძღვანელებს და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარს დასამტკიცებლად ურდგენს უფრო მსხვილ საწარმოთა სამეურნეო და ტექნიკურ ხელმძღვანელებს განსაკუთრებული სიით;

ი) ეწევა რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის სამეურნეო და ტექნიკური კადრების მომზადებას უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და კურსების საშუალებით;

კ) ხელმძღვანელობს შრომისა და ხელფასის ორგანიზაციისა და ნორმირების საქმეს, აგრეთვე მუშათა კადრების ორგანიზებულ შეგროვებას და ხელმძღვანელობს სტახანოური მოძრაობის გაშლას რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსუბუქ მრეწველობაში;

ლ) ადგენს რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა დაფინანსების წესს, აფინანსებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებსა და ორგანიზაციებს და ხელმძღვანელობს მათს საფინანსო მუშაობას;

მ) განაგებს უშუალოდ დაქვემდებარებულ სასწავლებლებს;

ნ) ამტკიცებს უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და მშენებლობათა ანგარიშებსა და ბალანსებს;

ო) ამტკიცებს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ ყველა სამეურნეო ანგარიშის საწარმოსა და ორგანიზაციის წესდებებსა და დებულებებს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით აწესებს დაქვემდებარებულ სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა საწესდებო ფონდების ოდენობას;

პ) ჰქმნის უწყებრივ არბიტრაჟს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის წამოჭრილი ქონებრივი დავის გადასაჭრელად.

III. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა

7. რესპუბლიკური ქვემდებარეობის მსუბუქი მრეწველობის სათანადო დარგების საწარმოთა მართვა-გამგეობისათვის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში ორგანიზებულია შემდეგი მთავარი სამმართველოები:

სამკერვალო მრეწველობის მთავარი სამმართველო.

ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის მთავარი სამმართველო.

8. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი სამმართველოები თავიანთ მუშაობაში ემორჩილებიან სახალხო კომისარს, და, ამ უკანასკნელის განკარგულებით, სახალხო კომისრის მოადგილეს.

9. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი სამმართველოები ხელმძღვანელობენ მათ მიერ გაერთიანებულ საწარმოებს, თანახმად მომქმედი კანონებისა სამრეწველო სახალხო კომისარიატების საწარმოთა და მთავარ სამმართველოთა სამეურნეო ანგარიშის უფლებების შესახებ.

10. მთავარ სამმართველოს სათავეში სდგას უფროსი, რომელიც ანხორციელებს მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო და ტექნიკურ ხელმძღვანელობას.

11. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარ სამმართველოებში ეწყობა შემდეგი განყოფილებანი და ჯგუფები:

ა) საწარმოო-ტექნიკური ჯგუფი;

ბ) საგეგმო-სტატისტიკური ჯგუფი;

გ) ბუხჰალტერია;

დ) მომარაგებისა და გასაღების განყოფილება სამეურნეო ანგარიშზე.

12. მთავარ სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური ჯგუფი აწყობს ახალი კონსტრუქციების მანქანების ახალი ტექნიკისა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა შემუშავებასა და დანერგვას, შეიმუშავებს ღონისძიებებს მოწყობილობის გამოყენების გასაუმჯობესებლად, გაარჩევს ავარიების მიზეზებს და შეიმუშავებს ზომებს მათი თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის ანხორციელებს სისტემატურ კონტროლს ახალი ტექნოლოგიის, მანქანათა ახალი კონსტრუქციების დანერგვისადმი, მოწყობილობის სწორად გამოყენებისადმი, ანხორციელებს საწარმოების მუშაკთა სისტემატურ ინსტრუქტაჟს ტექნიკურ საკითხებზე, აწყობს ტექნოლოგიური პროცესების საუკეთესო მეთოდების ათვისებას, ეწევა მუშაობას გამომგონებლობისა და სტანდარტიზაციის დარგში, ანხორციელებს კონტროლს და ტექნიკურ დახმარებას უწევს საწარმოებს ენერგეტიკული დანადგარების სწორი ექსპლოატაციისა და ყოველგვარი სახის ენერგიის ეკონომიურად ხარჯვის საკითხებში.

13. მთავარ სამმართველოს საგეგმო-სტატისტიკური ჯგუფი შეიმუშავებს მრეწველობის მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს, ატარებს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის სისტემატურ აღრიცხვას, აგრეთვე ამოწმებს ძირითადი წარმოების გეგმების შესრულებას.

14. მთავარ სამმართველოს მომარაგებისა და გასაღების განყოფილება არკვევს სათანადო მთავარ სამმართველოს საწარმოების მოთხოვნილებას ფონდირებულ და დაგეგმილ მასალებსა და მოწყობილობაზე, ურდგენს განაცხადებს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ღებულობს და ანაწილებს ფონდებს, ხელმძღვანელობს დაქვემდებარებული საწარმოების მომარაგებას, ადგენს

№ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული საწარმოების პროდუქციის მომხმარებლებს შორის განაწილების გეგმებს და დადგენილი წესით ამ გეგმების დამტკიცების შემდეგ უშუალოდ ანხორციელებს პროდუქციის გასაღებას.

15. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში ეწყობა შემდეგი განყოფილებები და ჯგუფები:

ა) მუშათა კადრებისა და ხელფასის განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობს მუშათა ორგანიზებულ შეგროვებას, აწესრიგებს შრომისა და ხელფასის საკითხებს, ანხორციელებს კონტროლს ხელფასის ფონდების ხარჯვისადმი, თვალყურს ადევნებს უშიშროების ტექნიკის ღონისძიებათა და შრომის სწორი ორგანიზაციის, შრომის ნაყოფიერების გადიდების და სტახანოური მოძრაობის განვითარების ღონისძიებათა განხორციელებას, ხელმძღვანელობს შრომის წიგნაკების გაცემასა და აღრიცხვას და ანხორციელებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ამ საქმის მდგომარეობის კონტროლს, შეიმუშავებს ღონისძიებებს შრომის დისციპლინის მოსაწესრიგებლად საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში;

ბ) საგეგმო-საფინანსო განყოფილება, რომელიც შეიმუშავებს მსუბუქი მრეწველობის მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს, შეადგენს ნაკრებ საფინანსო გეგმებს, დასამტკიცებლად წარუდგენს ამ გეგმებს სახალხო კომისარიატს და ანხორციელებს გეგმის შესრულების ეკონომიურ ანალიზს და საგეგმო მუშაობის მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას, აგრეთვე ინსტრუქტაჟსა და მეთვალყურეობას უწევს მთავარი სამმართველოების საფინანსო მუშაობას;

გ) კაპიტალურ მშენებლობის განყოფილება, რომელიც შეიმუშავებს კაპიტალური მშენებლობის ნაკრებ გეგმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს მათ სახალხო კომისარს; ანხორციელებს კონტროლს კაპიტალური მშენებლობისა და რემონტის დამტკიცებული გეგმების შესრულებისადმი მსუბუქ მრეწველობაში როგორც ვადების მხრივ, ისე ხარისხობრივი და საფინანსო მაჩვენებლების მხრივაც, კონტროლს იმისადმი, რომ უზრუნველყოფილ იქნას მშენებლობანი პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით, ოპერატიულ დახმარებას უწევს მშენებლობებს;

დ) სტატისტიკურ-სააღრიცხვო განყოფილება, რომელიც აწარმოებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოების სამეურნეო საქმიანობის სისტემატურ აღრიცხვასა და ანალიზს კერძოდ, შრომისა და ხელფასის, აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების აღრიცხვას;

ე) მომარაგების ჯგუფი, რომელიც არკვევს სახალხო კომისარიატის მოთხოვნილებას ფონდირებულ და დაგეგმილ მასალებსა და მოწყობილობაზე, ურდგენს ნაკრებ განაცხადებს სათანადო მგეგმავ ორგანიზაციებს, ღებულობს ფონდებს და ანაწილებს ამ ფონდებს მთავარ სამმართველოებს შორის, აგრეთვე ხელმძღვანელობს დაქვემდებარებულ საწარმოთა მომარაგებას;

ვ) ცენტრალური ბუხჰალტერია, რომელიც ანხორციელებს საბუხჰალტრო აღრიცხვას საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისტემაში საბუხჰალტრო აღრიცხვის მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას, ინსტრუქტაჟსა და მეთვალყურეობას სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ მრეწველობის დარგებში, აგრეთვე განიხილავს დაქვემდებარებულ სამეურნეო ორგანიზაციათა და საწარმოთა ანგარიშებსა და ბალანსებს და მოახდენს დოკუმენტალურ რევიზიებს;

ზ) სამობილიზაციო განყოფილება;

ი) სახანძრო და შეიარაღებული სადარაჯო დაცვის ინსპექცია;

თ) ადმინისტრატიულ-ორგანიზაციული სამმართველო;

კ) არბიტრაჟი.

16. ზემოთაღნიშნული მთავარი სამმართველოების, განყოფილებებისა და ჯგუფების გარდა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში ეწყობა სასწავლებელთა სამმართველო, რომელიც ემორჩილება სახალხო კომისარს და, მისი განკარგულებით, სახალხო კომისრის მოადგილეს და იმ სასწავლებელთა მმართველებს, რომლებიც ექვემდებარებიან საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

17. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისართან იმყოფებიან სახალხო კომისრის თანაშემწე კადრების დარგში, პასუხისმგებელი შემსრულებელი შესრულების კონტროლის ხაზით და მდივანი.

სახალხო კომისრის თანაშემწე კადრების დარგში ამზადებს წინადადებებს სახალხო კომისარიატისათვის ხელმძღვანელ მუშაკთა დანიშვნისა და ტექნიკურ სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა განაწილების საკითხზე, აწარმოებს სამეურნეო მუშაკთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა აღრიცხვას.

პასუხისმგებელი შემსრულებელი შესრულების კონტროლის ხაზით ანხორციელებს იმის შემოწმებას, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მთავარი სამმართველოები, განყოფილებები და ჯგუფები, აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციები და საწარმრები პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, აგრეთვე სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

18. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით იქმნება კოლეგია, რომელსაც აქვს რეგულარული სხდომები და რომელიც, უწინარეს ყოვლისა, იხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის საკითხებს, ადგილობრივი ორგანოების მუშაკთა ანგარიშებს, მნიშვნელოვან ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ტარდება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის ბრძანებების სახით.

იმ შემთხვევაში, თუ სახალხო კომისარსა და კოლეგიას შორის უთანხმოება წამოიჭრა, სახალხო კომისარი ცხოვრებაში ატარებს თავის გადაწყვეტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქაროველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის წარდგენით.

19. ადგილებთან ურთიერთკავშირის განსახორციელებლად და გამოცდილების გასაზიარებლად საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისართან იქმნება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საბჭო, რომელიც ‘ოიწვევა ორ თვეში ერთხელ იმისათვის, რომ მოისმინოს და განიხილოს მოხსენებანი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის წარდგენით.

20. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი, ძირეულ მუშაკთა და სტახანოველ მუშათა გამოცდილების უკეთ გამოყენების და კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის მიზნით, პერიოდულად იწვევს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახახლო კომისარიატის აქტივს.

შესაბამისად — მსუბუქი მრეწველობის მთავარ სამმართველოებსა, საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებში ხელმძღვანელები იწვევენ აქტივებს, რომლებიც მოისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყეტილებებზე და სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელ მითითებებს.

11054

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Собрание постанов.
и распоряж. правит.
груз. ССР.
(груз. яз)
30 к.
П. 573/300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

საქართველოს სსრ. საქ. სახალხო
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმ. № 343 შეკვ. № 558 ტირაჟი 2000